საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

„დამტკიცებულია“
დამფუძნებელთა კრების
გადაწყვეტილებით
ოქმი №

2013წ _____

№ _____

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

“საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია”

წ ე ს დ ე ბ ა

თბილისი

2012

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. „საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია" (შემდგომში –ასოციაცია) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საერთაშორისო სამართლის ნორმების, საქართველოს კანონმდებლობის და ამ წესდების შესაბამისად. ასოციაცია, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

1.2. ასოციაციას გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი, განცალკევებული ქონება, საანგარიშსწორებო საბანკო ანგარიშები როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში საბანკო დაწესებულებებში, საკუთარი ემბლემა, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

1.3. ასოციაცია უფლებამოსილია საკუთარი სახელით შეიძინოს უფლებები, დადოს ხელშეკრულებები, შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნების თანახმად დააფუძნოს ფილიალები, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ფლობდეს, ისარგებლოს და განკარგოს მისი აქტივები საქართველოს კანონმდებლობისა და ასოციაციის მიზნების შესაბამისად, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე არბიტრაჟში, სასამართლოში.

1.4. ასოციაციას შეუძლია ჰქონდეს პირდაპირი ადგილობრივი და საერთაშორისო კონტაქტები სხვა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებთან, მონაწილეობდეს იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებს. ასოციაცია თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. ასოციაციის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო ასოციაციის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს ასოციაცია საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

1.5. ასოციაციას გააჩნია საკუთარი ოფიციალური ვებ-გვერდი chikhladzemaia@yahoo.com მისი მეშვეობით ხორციელდება ასოციაციის პროექტების შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება.

1.6. ასოციაციის სრული დასახელებაა:

ქართულად: საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია

ინგლისურად: Association of Georgian Private Colleges

ასოციაციის მოკლე დასახელებაა: (PCAG), (სკკა)

ასოციაციის ელექტრონული მისამართია: chikhladzemaia@yahoo.com

7. ასოციაციის იურიდიული მისამართია: – თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. #2; 1.8. ასოციაცია იქმნება განუსაზღვრელი ვადით

1.9. ასოციაციის დამფუძნებლები არიან:

1. „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“ შპს - - (იურიდიული მისამართი: თბილისი, მარნეულის რაიონი 26 მაისის 80; საიდენტიფიკაციო კოდი: 234158498; სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 18/09/1996 წ. დირექტორი: ირაკლი გომელაური)

2. „ინტერბიზნესის აკადემია“ შპს - (იურიდიული მისამართი: თბილისი, დიდუბე ჩუღურეთის რაიონის, ჩაჩავას ქ. 8; საიდენტიფიკაციო კოდი: 201990881; სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 13/12/1196 წ. დირექტორი: ინგა მანაშენიძე;)

3. „ორიენტირი“ შპს - - (იურიდიული მისამართი: თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ც. დადიანის #28; საიდენტიფიკაციო კოდი: 200011904; სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 21/11/1995 წ. დირექტორი: აზზორ მაჭარაშვილი;)

4. „საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა“ შპს - - (იურიდიული მისამართი: თბილისი, ნაძალადევის რაიონი, თ. ერისთავის ქ. #2; საიდენტიფიკაციო კოდი: 400023595; სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 04/07/2011 წ. დირექტორი: ვასილ კიკნაძე;)

5. „საქართველოს ბიზნესის აკადემია- SBA“ შპს - (იურიდიული მისამართი: თბილისი, სამგორის რაიონი, რუსთავის გზატკ. #18-22; საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550; სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 04/11/2010 წ. დირექტორი: ია ერაძე;)

6. „საზოგადოებრივი კოლეჯი „გეორგია“ შპს - (იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონი, ფალიაშვილის #44; საიდენტიფიკაციო კოდი: 204859634; სახელმწიფო-რეგისტრაციის თარიღი: 16/01/1996 წ. დირექტორი: გიორგი ბერაია;)

7. „ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯი“ შპს - (იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონი, ყაზბეგის ჩიხი #32/34; საიდენტიფიკაციო კოდი: 404885870; სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 31/01/2011 წ. დირექტორი: მურმან გუგეშაშვილი;)

1.11. ასოციაცია უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი

საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ასოციაციის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

1.12. ასოციაციის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება ასოციაციის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 2. ასოციაციის მიზნები

2.1.ასოციაციის მიზნებია:

ა) პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და კერძო კოლეჯების განვითარების ხელშეშყობა;

ბ) ასოციაციის წევრთა ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა;

გ) პროფესიული განათლების სისტემის განვითარების პოლიტიკაში კერძო კოლეჯებისა და სხვადასხვა სამეწარმეო სუბიექტების მონაწილეობის მიღება;

გ)სამართლებრივი, სამეწარმეო კულტურისა და მართლშეგნების დამკვიდრება საზოგადოებაში;

დ)სხვა ქვეყნების შესაბამის გაერთიანებებთან, აგრეთვე საერთაშორისო და ევროპის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ე)ასოციაციის წევრთა საერთო ინტერესების დაცვა შესაბამისი საკანონმდებლო, აღმასრულებელ და მუნიციპალურ სტრუქტურებში, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში.

მუხლი 3. ასოციაციის საქმიანობის ფორმები

3.1. მისი მიზნების განსახორციელებლად ასოციაცია:

ა)წარმოადგენს და იცავს კერძო კოლეჯების ინტერესებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ;

ბ) ახორციელებს კონსულტაციებს კერძო კოლეჯების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

გ) აწყობს შეხვედრებს, კონფერენციებს, სემინარებს, დისკუსიებს და სხვა;

დ)განათლების სფეროში ახორციელებს კვლევასა და მონიტორინგს;

ე)ეწევა საგამომცემლო და მთარგმნელობითი საქმიანობის ორგანიზებას;

ვ) ავრცელებს სათანადო სამართლებრივ ლიტერატურას და სხვა ინფორმაციას;

ზ)ეწევა სხვა საქმიანობას, რაც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 4. ასოციაციის წევრთა უფლებები და

მოვალეობები

4.1. ასოციაციაში გაწევრიანების უფლება წარმოიშობა (გამგეობის მიერ დადგენილი პირობების მიხედვით განსაკუთრებულ შემთხვევის გარდა) პირის ასოცირებულ წევრად მიღებიდან 1 წლის შემდეგ, კანდიდატის მიერ ამ პერიოდში წესდებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების შემთხვევაში.

4.2. ასოციაციის წევრი და ასოცირებული წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი იურიდიული პირი, რომელიც აღიარებს ასოციაციის მიზნებს და მზადაა შეასრულოს მისი საწესდებო მოთხოვნები. წევრად მიღების პროცედურებს და კრიტერიუმებს განსაზღვრავს გამგეობა.

4.3. ასოციაციის ასოცირებული წევრობის მსურველი პირი დადგენილი ფორმის მქონე წერილობითი განცხადებით მიმართავს ასოციაციის გამგეობას. გამგეობა მისი ასოცირებულ წევრად მიღების საკითხს განიხილავს განცხადების შემოსვლიდან არა უგვიანეს სამი თვისა, ხოლო ასოცირებული წევრის წევრად მიღების შესახებ გადაწყვეტილება გამგეობის მიერ მიიღება ასოცირებული წევრის მიერ გაცხადებული წერილობითი განაცხადის საფუძველზე.

4.4. ასოციაციის წევრი უფლებამოსილია:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნას ასოციაციის ხელმძღვანელ ან სხვა ორგანოებში.

ბ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია ასოციაციის საქმიანობის შესახებ.

გ) მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხთა განხილვაში.

დ) შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობდეს ასოციაციის პროგრამებში, პროექტებსა და სხვა სახის საქმეთა წარმოებაში.

ე) ისარგებლოს ასოციაციაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

ვ) თავისუფლად გავიდეს ასოციაციიდან.

4.5. ასოციაციის წევრი (ასოცირებული წევრი) ვალდებულია:

ა) შეასრულოს ასოციაციის წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ბ) გადაიხადოს ასოციაციის ანგარიშზე საწევრო შენატანი დადგენილი წესითა და ფორმით.

გ) მონაწილეობას იღებდეს ასოციაციის საქმიანობაში.

დ) გაუფრთხილდეს ასოციაციის პრესტიჟს, ქონებას, ღირსებასა და ავტორიტეტს.

4.6. ასოციაციის წევრს (ასოცირებულ წევრს) უფლებამოსილება შეუჩერდება გამგეობის გადაწყვეტილებით, თუ:

ა) მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის წესდებას.

ბ) ერთი წლის განმავლობაში იგი არ ასრულებს წესდებით დაკისრებულ მოვალეობებს.

7. ასოციაციის წევრი (ასოცირებული წევრი) პირისათვის უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში არ ვრცელდება წესდებით განსაზღვრული უფლებამოვალეობანი;

4.8. ასოცირებულ წევრს გააჩნია ყველა ის უფლება რაც გააჩნია წევრს, გარდა ამ წესდების 4.4 ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებისა; .

4.9. ასოციაციის წევრისათვის (ასოცირებული წევრისთვის) უფლებამოსილების შეჩერება ხდება უახლოეს გამგეობის სხდომამდე, რომელზედაც უნდა იქნას მიღებული გადაყვეტილება უფლებამოსილების ჩამორთმევის ან აღდგენის თაობაზე.

მუხლი 5.ასოციაციის მართველობა

5.1. წევრთა საერთო კრება

5.1.1.ასოციაციის მართვის უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება.

5.1.2. საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ასოციაციის ყველა წევრს, ხოლო ასოცირებული წევრი კრებაში მონაწილეობს ხმის უფლების გარეშე;

5.1.3. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი;

5.1.4. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ასოციაციის ყოველი წევრი სარგებლობს თითო ხმის უფლებით.

5.1.5. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა:

ა)გამგეობის გადაწყვეტილებით,

ბ) ასოციაციის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით.

გ)ასოციაციის წევრთა 1/5-ის მოთხოვნით, მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

5.1.6. შეტყობინება საერთო კრების მოწვევის შესახებ წევრებს ეცნობებათ სხდომამდე არანაკლები ორი კვირით ადრე;

5.1.7. საერთო კრება მოიწვევა წელიწადში ერთხელ;

5.1.8. განსაკუთრებული კომპეტენციით საერთო კრება:

5.1.9. დამსწრეთა ხმათა 2/3-ის უმრავლესობით იღებს წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში.

5.1.10. დამსწრეთა ხმათა 2/3-ის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის თაობაზე.

5.1.11. დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით წყვეტს გამგეობის წევრთა რაოდენობას და ირჩევს მის წევრებს.

5.1.12. ამტკიცებს ასოციაციის ბიუჯეტს.

5.1.13. წყვეტს სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც წესდებით არ განეკუთვნება პრეზიდენტის ან გამგეობის კომპეტენციას.

5.2. ასოციაციის გამგეობა

5.2.1. საერთო კრებებს შორის ასოციაციის საქმიანობას წარმართავს ასოციაციის გამგეობა ასოციაციის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით. გამგეობის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს და ერთი წლის ვადით ირჩევს საერთო კრება. გამგეობის წევრად შეიძლება არჩეულ იქნას ის პირიც, რომელიც არ ესწრება სხდომას, თუ არსებობს მისი წერილობითი თანხმობა გამგეობის წევრად არჩევის თაობაზე.

გამგეობის წევრები არიან:

- კახაბერ ერაძე (დაბადებული 27.11.1971 წ. ქ. ქუთაისში, რეგისტრირებული და მცხოვრები: თბილისი, კაკაბაძის ქ. #14. პ/ნ 60002000117, პირადობის #ა 1080033, გაცემული 13.07.2007წ. თბილისის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამგორის სამსახურის მიერ)
- მაია ჩიხლაძე (დაბადებული 28.09.1962 წ. ქ. თბილისში, რეგისტრირებული და მცხოვრები: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-6 კვ, კ. 28, ბინა #43. პ/ნ 01009004333, პირადობის #ა 0089654, გაცემული 12.10.1995 წ. თბილისის ვაკის რაიონის შს I ქვეგანყოფიულების მიერ)
- გიორგი ბერაია (დაბადებული 26.09.1961 წ. ქ. თბილისში, რეგისტრირებული და მცხოვრები:თბილისი, ფალიაშვილის ქ. 44/5, ბინა #7;. პ/ნ 01008008134, პირადობის # ბ 0099594, გაცემული თბილისი ვაკის შს განყოფილების მიერ 21.12. 1995 წელს);
- ნინო გომელაური (დაბადებული -- 04.09.1970 წ ქ. თბილისში, რეგისტრირებული და მცხოვრები: თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. #34, ბინა #2. პ/ნ 01024025258, პირადობის #ა 1238711, გაცემული 16.12.2008 წ. თბილისის სამოქალაქო რეესტრის ვაკის სამსახურის მიერ)
- მურმან გუგეშაშვილი (დაბადებული 29.01.1967წ. ქ. თბილისში, რეგისტრირებულუ და მცხოვრები: თბილისი, ბახტრიონის ქ. 11, ბინა #78; პ/ნ 01024020560, პირადობის # დ0166942, გაცემული თბილისის საბურთალოს რ-ნის შს განყოფილების მიერ 03.07.1997წ.)

- ინგა მანაშერიძე (დაბადებული 05.09.1956 წ. ქ. ბათუმში, რეგისტრირებული და მცხოვრები: თბილისი, თიანეთის გაგრძელება #19. პ/ნ 01001010297, დ 1430579, გაცემული 15.04.2011 წ. თბილისის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სამსახურის მიერ);
- სოფიო მაჭარაშვილი (დაბადებული 10.04.1975 წ. ქ. თბილისში, რეგისტრირებული და მცხოვრები: თბილისი, ც. დადიანის ქ. #65, პირველი კორპ, ბინა 40; პ/ნ 01020000601, #ა 1135846, გაცემული 29.01.2008 წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნაძალადევის სამსახურის მიერ);

5.2..2. გამგეობის სხდომები იმართება ერთ თვეში ერთხელ მაინც. გამგეობის სხდომებს თავმჯდომარეობს ასოციაციის პრეზიდენტი. გამგეობის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა ასოციაციის პრეზიდენტის ან გამგეობის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით.

5.2.3. გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება მის წევრთა ნახევარზე მეტი და გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით, ამასთან ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება ასოციაციის პრეზიდენტს.

4.2..4. შეტყობინება გამგეობის სხდომის მოწვევის თაობაზე გამგეობის წევრებს ეცნობებათ პირადად სხდომის მოწვევამდე სამი დღით ადრე მაინც.

4.2.5. ასოციაციის გამგეობა:

ა) ორგანიზაციას უწევს საერთო კრების სხდომების მომზადებასა და გამართვას.

ბ) ასოციაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით, ღია კენჭისყრით წყვეტს ასოციაციის წევრების და ასოცირებულ წევრთა მიღების ან მათთვის უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხს.

გ) ირჩევს ასოციაციის პრეზიდენტსა და ვიცე–პრეზიდენტს;

დ) ამტკიცებს სამოქმედო პროექტებსა და პროგრამებს;

ე) განსაზღვრავს მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობასა და საქმიანობის წესს.

ვ) განსაზღვრავს ასოციაციის საწევროს გადასახადის ოდენობას და მისი გადახდის წესს.

5.3. ასოციაციის პრეზიდენტი

5.3..1. ასოციაციის პრეზიდენტი ირჩევა ერთი წლის ვადით გამგეობის წევრთაგან. ახლადარჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება შესაბამისად ახალი პრეზიდენტის არჩევამდე.

5.3.2. პრეზიდენტი:

ა)წარმართავს ასოციაციის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად.

ბ)წარმოადგენს ასოციაციას სხვა პირებთან ურთიერთობაში და მოქმედებს ასოციაციის სახელით.

გ) ხელმძღვანელობს ასოციაციის გამგეობას

დ) ხელს აწერს ასოციაციის ოფიციალურ დოკუმენტებზე.

ე) ამტკიცებს ასოციაციის შინაგანაწესს, სტრუქტურასა და საშტატო განრიგს;

ვ) ანგარიშს აბარებს გამგეობის სახელით საერთო კრებას ასოციაციის საქმიანობის შესახებ.

5.3.3 პრეზიდენტის უფლებამოსილების შეუსრულებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც ირჩევა გამგეობის მიერ პრეზიდენტის არჩევასთან ერთად და პრეზიდენტის უფლებემოსილების ვადით;

5.4. ერთი და იგივე პირის პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევა შესაძლებელია ზედიზედ მხოლოდ ორჯერ;

მუხლი 6. მრჩეველთა საბჭო

6.1. მრჩეველთა საბჭო ახორციელებს ასოციაციის მიზნების და ამოცანების ხელშეწყობას;

6.2. მრჩეველთა საბჭო არის საკონსულტაციო ორგანო, რომელშიც შედიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი განათლების სფეროს და სხვა პროფესიის თვალსაჩინო წარმომადგენლები, ასევე განათლების სფეროში მოღვაწე სხვა პირები/ექსპერტები.

6.3. მრჩეველთა საბჭოს წევრებს ირჩევს ასოციაციის გამგეობა.

მუხლი 7. ასოციაციის ლიკვიდაცია

7.1. ასოციაციის ლიკვიდაცია ხდება:

7.1.1. საერთო კრების გადაწყვეტილებით;

7.1.2. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

7.1.3. ლიკვიდაციის შემთხვევაში, დარჩენილი ქონება, გამგეობის გადაწყვეტილებით, გადაეცემა მსგავსი საქმიანობის განმახორციელებელ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციას;

7.2. ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8 დასკვნითი დებულებები

8.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

8.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

8.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

დამფუძნებლები

1. „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“ შპს - ის სახელით -

---------- ირაკლი გომელაური

2. „ინტერბიზნესის აკადემია“ შპს - ის სახელით -

---------- ინგა მანაშერიძე

3. „ორიენტირი“ შპს - ის სახელით

---------- ანზორ მაჭარაშვილი

4. „საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა“ შპს - ის სახელით

---------- ვასილ კიკნაძე

5. „საქართველოს ბიზნესის აკადემია- SBA“ შპს -ის სახელით

---------- - ია ერაძე

6. „საზოგადოებრივი კოლეჯი „გეორგია“ შპს

---------- გიორგი ბერაია

7. „ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯი“ შპს - სახელით

---------- მურმან გუგეშაშვილი

გამგეობის წევრები:

- კახაბერ ერაძე - ----------
- მაია ჩიხლაძე - ----------
- გიორგი ბერაია ----------
- ნინო გომელაური ----------
- მურმან გუგეშაშვილი ----------
- ინგა მანაშერიძე ----------
- სოფიო მაჭარაშვილი ----------

ორიათას ცამეტი წლის **თვრამეტ** **იანვარს** მე, მარიკა გოგოლაძეს, ნოტარიუსს რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №183, მომმართეს: **ირაკლი გომელაურმა** (დაბადებული 13.02.1944 წ. თბილისი, რეგისტრირებული და მცხოვრები: **თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 42 ბ. 2.** პ/ნ 01024026089, პირადობის #ბ0235025, გაცემული 02.12.1998წ. თბილისის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ),**ირაკლი მანაშერიძემ** (დაბადებული 23.01. 1976 წ. ქ. თბილისში, რეგისტრირებული და მცხოვრები: **თბილისი თიანეთის გაგრძელება N 19**. პ/ნ 01002011429, პირადობის # გ1430579, გაცემული 15.04.2011 წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გლდანი–ნაძალადევის სამსახურის მიერ), **ანზორ მაჭარაშვილმა** (დაბადებული 05.05.1941წ. საჩხერე, რეგისტრირებული და მცხოვრები: **თბილისი რ.ურიდიას ქ. N 56.** პ/მ № დ1035812, პირადი № 01020000602, გაცემული 26.01.2007წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნაძალადევის სამსახურის მიერ), **ვასილ კიკნაძემ** (დაბადებული 06.08.1978 წ. ქ. თბილისი, რეგისტრირებული და მცხოვრები: **თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 25ა ბ. 34**. პ/ნ 01024020503, პირადობის #ბ1067692, გაცემული 03.07.2007წ. თბილისის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ), **ია ერაძემ** (დაბადებული 27.01.1973 წ. ქუთაისი, რეგისტრირებული და მცხოვრები: **ქუთაისი განათლების I შეს. N 9.** პ/მ 60001051386, დ0440474, გაცემული 05.02.2004 წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ქუთაისის სამსახურის მიერ); **გიორგი ბერაიამ** (დაბადებული 26,09,1961 წ. ქ. თბილისი, რეგისტრირებული და მცხოვრები: **თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 44/5 ბ. 7.** პ/ნ 01008008134, პირადობის ბ0099594, გაცემული 21.12.1995წ. თბილისის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ), **მურმან გუგეშაშვილმა** (დაბადებული 29.01.1967წ. თბილისი, რეგისტრირებული და მცხოვრები: **თბილისი ბახტრიონის ქ. N 11 ბ. 78.** პ/მ № დ0166942, პირადი № 01024020560, გაცემული 03,07,1997წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ), **კახაბერ ერაძემ** (დაბადებული 27.11.1971 წ. ქ. ქუთაისში, რეგისტრირებული და მცხოვრები: თბილისი, კაკაბაძის ქ. #14. პ/ნ 60002000117, პირადობის #ა1080033, გაცემული 13.07.2007წ. თბილისის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამგორის სამსახურის მიერ), **მაია ჩიხლაძემ** (დაბადებული 28.09.1962 წ. ქ. თბილისში, რეგისტრირებული და მცხოვრები: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-6 კვ, კ. 28, ბინა #43. პ/ნ 01009004333, პირადობის # ა0089654, გაცემული 13.10.1995 წ. ვაკე-საბურთალოს შს II განყოფილების სამსახურის მიერ), **გიორგი ბერაიამ** (დაბადებული 26,09,1961 წ. ქ. თბილისი, რეგისტრირებული და მცხოვრები: **თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 44/5 ბ. 7.** პ/ნ 01008008134, პირადობის ბ0099594, გაცემული 21.12.1995წ. თბილისის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ), **ნინო გომელაურმა** (დაბადებული 04,09,1970 წ. თბილისი, რეგისტრირებული და მცხოვრები: **თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 34 ბ. 2.** პ/მ 01024025258, ა1238711, გაცემული 16.12.2008წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის მიერ), **მურმან გუგეშაშვილმა** (დაბადებული 29.01.1967წ. თბილისი, რეგისტრირებული და მცხოვრები: **თბილისი ბახტრიონის ქ. N 11 ბ. 78.** პ/მ № დ0166942, პირადი № 01024020560, გაცემული 03,07,1997წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ), **სოფიო მაჭარაშვილმა** (დაბადებული 10.04.1975 წ. თბილისი, რეგისტრირებული და მცხოვრები: **თბილისი ც.დადიანის ქ. N 65 კორ. 1 ბ. 40.** პ/მ 01020000601, ა1135846, გაცემული 29.01.2008 წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნაძალადევის სამსახურის მიერ), , მათ მოითხოვეს მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე ნოტარიატის შესახებ კანონის 38-ე მუხლის „ზ“ პუნქტისა და სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მასზე თავიანთი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე, დაკვირვებულ, მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობების საფუძველზე. შეკამოწმე ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. მხარეებს განეუმარტა სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის თანახმად, წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ადასტურებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირებს ეკუთვნით; ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილ ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მათ ნამდვილობაზე

გადაიხადეს სანოტარო მომსახურების საზღაური ოცდაათი ლარი + დღგ ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი, + ორი ლარი რეგისტრაციის საზღაური, სულ ოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცი თეთრი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ დადგენილებისა (29 დეკემბერი, 2011 წ. №507) 31(III), 39 და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლებისა.

ნოტარიუსი: მარიკა გოგოლაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N130040094
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	18.01.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მარიკა გოგოლაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	საქართველო ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი #183
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(995 32) 234 81 66
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	15832438743713

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ჩაფიძის კლინიკიდან გადავიდა ღუდუშაურის კლინიკაში

წასვლა 4.02.2014 . დამთავრება 15.06.2014

პრაქტიკოსი ექთანი მე–2 სასწ.წელი

1.ჩხაიძე ქეთევანი

ანგიოლოგია ?

ღუდუშაურის კლინიკიდან გადავიდა თბილისის ცენტრალურ საავადმოფოში გადავიდა

წასვლა : 4.02.2014 დამთავრება 30.06.2014

ექთ,თანაშ მე–2 სასწ,წელი

1. გუგუნაშვილი მარიამი